№ 32 თებერვალი 13, სამშაბათი 1890 თებერვალი 13, სამშაბათი № 32

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჭარლის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღეს, სამშაბათს, 13 თებერვალს, დილის 10 საათზედ გაასვენებენ დიდუბის ეკკლესიაში საკუთარის სახლიდამ (ნიკოლოზის ქუჩა, № 70) გვამი მიცვალებულის

**დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძისას**

ტფილისი, 12 თებერვალი

დიდი უბედურება გვეწვია! გულმა შემოგვკვნესა და საზარელი, გულჩამწყვეტი ხმა გაისმა. ელდასავით შემოირბინა ამ ხმამ ჩვენი ქვეყანა და მისწვდა ყოველს კუთხეს, ყოველს კუნჭულს, საცა-კი ერთი ქართველი მაინც არის; მისწვდა და თავ ზარი დასცა.

შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა უკეთესი შვილი მამულ[illegible], უკეთესი შვენება, სახელი და თავ მოწონება ჩვენი. აღარა გვყავს დიმიტრი, ჩვენი მშვიდი, ჩვენი თავ დადებული, უწყინარი და ყველას ერთ ნაირად შემწყნარებელი, ყველასათვის ერთ ნაირად გულ-შემატკივარი მამულიშვილი; აღარა გვყავს დიდი გულ-მოდგინე, პირუთვნელი მოამბე მამა-პაპათა თავგადასავალისა.

განქრა ლამპარი, წარსულთა დროთა გასანათებლად ანთებული; მოსწყდა ვარსკვლავი, წარსულის წყვდიადის გასაშუქებლად ამოსული; ჩაქრა ცეცხლი მამა-პაპათა სამაგალითო სიყვარულისა, მათთა საქმეთა თავ-დაუზოგველის, გამუდმებულის კვლევა-ძიებისა!

დიმიტრი თითქმის მარტოდ-მარტო შეეჭიდა ამ ორმოცის წლის წინად დიდსა და ძნელს საქმეს ჩვენის წარსულის გამორკვევისა და გამოძიებისას და სიკვდილამდე მარტომ ჰზიდა ეს ტვირთი. ბევრმა არ იცოდა მაშინ, რა დიდს საქმეს მოჰკიდა ხელი და ეს დიდი საქმე რა დიდს სიყვარულს, რა თავდადებას ითხოვდა შესასრულებლად. ბევრმა არ იცოდა მაშინდელს უმეცრებასა და სიწყვდიადეში, რას მოასწავებდა დიმიტრის ამაგი, მისი ღვაწლი წარსულის ძიებისა. მარტო იყო, უამხანაგო, უმწეო, მარტომ გადას წმინდა გამოცდილის ხელით მტვერი ძველ ხელ-ნაწერებს, ეტრატებს, ძველის-ძველ გუჯრებსა და სიგელებს და მკვდართა ამა მოწამეთა ხმა ამოაღებინა, აალაპარაკა მოსათხრობლად ძველისა. არ დარჩა ძველი ტაძარი, ძველი ეკკლესია, არ დარჩა თითქმის არც ერთი ქვა-წარწერილი, არც ერთი ძველი ნაშთი, რომ მის მიერ ნახული და გამოძიებული არ იყოს.

და აი როცა ღვაწლი იმისი მოიმწიფა, ამაგმა მისმა გამოიღო ნაყოფი, როცა სახელი დიმიტრისა გაისმა თავ-მოწონებით, არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიაც-კი, როცა დიმიტრის მეოხებით განათდა, გაშუქდა ამბავი ჩვენთა წინაპართა, როცა გვაცოდინა, ვინა ვართ და რანი ვართ, როცა ყველამ დავინახეთ საქმენი მისნი, თავ-დადება დიმიტრისა, და აღვივსენით იმის სიყვარულითა და პატივისცემით, როცა იგი ჯერ კ-[illegible] ლეოდა, სწორედ ახლა დადუმდა, ახლა გადუტყდა კალამი ხელში, ახლა გამოეთხოვა, გამოესალმა ყოველსავე, რაც უყვარდა უმეტეს საკუთარის თავისა, უმეტეს სიცოცხლისა, რასაც ემსახურა თითქმის ნახევარ საუკუნე!

შენ წარხველ და საქმენნი შენნი დაგვრჩნენ ჩვენ შენდა სახსოვრად. ჩვენ არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს ღვაწლს, არც შენს ამაგს, არც შენს თავ-დადებას ისტორიისათვის, იმიტომ რომ გვახსოვს სახელოვანის მიშლეს ნათქვამი: ისტორია აღდგომა არისო, და შენ ისტორიით აღგვადგინე.

არ დაგივიწყებთ იმიტომ - რომ არ დავიწყება ისტორიისა, რომელსაც შენ შესწირე შენი სიცოცხლე, ანთებული კერაა მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა, და ეს კერა შენ აღგვიანთე.

არ დაგივიწყებთ იმიტომ - რომ მხოლოდ იმას შეუძლიან თვალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მერმისს, ვინც იცის წარსული, და ეს წარსული შენ გვაცოდინე.

არ დავივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა, და ეგ წარსული შენ მოგვეცი.

არ დაგივიწყებთ იმიტომ-რომ „ყოველი ერი ისტორიით სულდგმულობს, რომ ისტორიაა საგანძე, საცა ერი ჰპოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობრივსა და გონებრივს აღმატებულობას, თვის ვინაობას, თვის თვითებას“, და შენ ყოველივე ესე გაგვითავისწინე.

დასასრულ, არ დაგივიწყებთ შენ იმიტომ-რომ შენნი საქმენი ჩვენ ზედ უკეთესად ჰღაღადებენ შენს დაუვიწყრობას, შენს საუკუნოდ ხსენებას!

## ახალი ამბავი

*** ერთის პატივცემულის თავადიშვილისაგან მოგვივიდა წერილი და გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ შვილსა და მამას გვაქვს სურვილი ასი თუმანი ფული გადავდოთ სტიპენდიის დასაარსებლად ოდესის უნივერსიტეტში განსვენებულის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სახელობაზედაო.

*** გუშინ-წინ, კვირას, თბილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში წირვის შემდეგ რექტორმა გადიხადა პანაშვიდი განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის საპატიოდ, წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა და მოკლედ მოიხსენია განსვენებულის დაუცხრომელი მოღვაწეობა და თანდათან მომატებული წყურვილი ისტორიულის კვლევა-ძიებისათვის. მლოცველზე სიტყვამ ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ეკკლესიაში ქვითინისა და ტირილის ხმა [illegible]

*** ბაქრაძის გარდაცვალების გამო ხვალ, სამშაბათს, თებერვლის 13, სწავლა არ იქნება სათავად აზნაურო სასწავლებელში.

*** ჩვენ მოგვივიდა ზაქათალიდამ 30 მან., რომელიც შეუწირავთ იქაურ ქართველთ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისათვის. სიას ამ ფულის შემომწირველებისას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ახალ - ქალაქი (ჯავახეთი): მოგვივიდა 37 მან. იმავე სკოლის სასარგებლოდ. სიას ამ ფულის შემომწირველებისასაც ერთ-ერთს შემდეგს ნომერში დავბეჭდავთ.

*** მოსკოვიდამ გვწერენ, რომ ამ წლის „Этнографическое Обозрѣніе“-ს პირველს წიგნში, რომელიც მარტში გამოვა, იბეჭდება წერილი მ. მ. კოვალევსკისა: „Народныя права въ Дагестанѣ“ და პროფ. მილერის წერილი „О кавказскихъ Циклопахъ“.

*** ბათუმი: ამ თვის 10 აქაურ სცენის მოყვარეთაგან იყო წარმოდგენილი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ“. დიდის მადლობის ღირსნი არიან მოთამაშენი, რადგან პიესა ძალიან რიგიანად წარმოადგინეს. ჩინებულნი იყვნენ: ავეტიქა, გიქუა, კოხტაია. წარმოდგენა დასრულდა მშვენიერის ლეკურით. თუმცა ხალხი ცოტა იყო, მაგრამ ვინც-კი დაესწრო, დიდად ნასიამოვნები დარჩა.

*** თებერვლის 11 კიევის გუბერ. ქ. ბოროდიანის მცხოვრებელი აბრამ მიხეილის ძე ჩერვინსკი, სიმთვრალის დროს, საკუთარს სადგურში მძინარე გარდაიცვალა ნახშირის ბუღისაგან. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** 12 თებერვალს პოლიციის მეექვსე ნაწილში დილომის მცხოვრებელის გრიგოლ ხალუაშვილის დუქნიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონელი, სამოც მანეთად ღირებული. ქურდი, სპარსეთის ქვეშევრდომი ხელადარ-ოღლი შეიპყრო პოლიციელმა და ნაქურდალიც წაართვა.

*** თებერვლის 10 ინჟინერ რენკვისტის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში დედამიწიდგან 44 ფუთიანს ქვასსა სწევდნენ, ამწევი მანქანა წამხდარი აღმოჩნდა, ქვაბი ძირს დაეცა და ფეხები მოამტვრია ამავე ქარხნის მომუშავე სპარსეთის ქვეშევრდომ აისორს მუსულზაიას. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა.

## † დიმიტრი ბაქრაძე

(ნეკროლოგი)

გიჟმა წაგვართვა ერთი კაცი მან, რომელმაც არ იცის ვის რასართმევს, ვის რას აკარგვინებს, ვის რა რიგად აობლებს და რომელსაც „ჯერა დაიჭერს... გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“. თითოეული ცალკე კაცი მარტო თავის საკუთარს ოჯახს აკლდება, თავის ნათესაობას, მახლობლობას, [illegible] საც დღეს ვასაფლავებთ, დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ, დაჰკარგა ქართველობამ, დავკარგეთ ყველამ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, გლეხმა და თავადმა, ერმა და ბერმა, ერთის სიტყვით, ყველამ, ვისაც-კი ღვთისაგან მინიჭებული აქვს მადლი იცნოს, დააფასოს ღვაწლი ქვეყნისათვის მშრომელისა და გამრჯელისა, ქვეყნის მოყვარისა, ქვეყნის მამულიშვილისა. დავკარგეთ კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე არ დაჰზოგა, შუქი, ნათელი შეიტანოს იმ დიდს ტაძარში, საცა ჰმარხიან ჩვენნი წინაპარნი, ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი გმირები, ჩვენი მეცნიერნი, ჩვენი სახელოვანნი კაცნი, ჩვენი დიდება, ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრება, საცა ჰმარხია ჩვენი უწინდელი ქართველობა მთელის თავის ავ-კარგიანობით. მოგვიკვდა ერთად-ერთი ისტორიკოსი, ერთად-ერთი გულ-მართალი, პირ-მოუფერებელი მიუდგომელი, მოამბე ჩვენის უწინდელის ავისა და კარგისა და ძნელად მოსალოდნელია, რომ ამ ახლო ხანში გამოვიდეს ჩვენში ვინმე და მისი მაგიერობა გაგვიწიოს.

ჯერ ხანად არავინა გვყავს, არავინ გვიჩანს, არავის ვხედავთ, მისებრ ერცლად მომზადებულს, რომ სულითა და ხორცით დღეს დაულურჯებულს ქართველობას ასე თუ ისე გაუხსენოს ახოვანება უწინდელ ქართველისა, ღვაწლი მათ მიერ ქვეყნისათვის დადებული, ანდერძი მათ მიერ გადმოცემული სადღეისოდ, თუ სამერმისოდ. რასაც ნამყო არა ჰქონია, იმას არც აწმყო აქვს, და რასაც აწმყო არა აქვს, იმას არც მომავალი აქვს. ეხლანდელი ცხოვრება ნაყოფია და სხვა არარა იმ ცხოვრების ხისა, რომელსაც ძირი, ფესვი წარსულში უდგას და იქ გაუმაგრებია. თუ ეს მართალია, მაშ რამოდენა უბედურება გვეწვია, რომ ჩვენ გაგვშორდა, ჩვენ გამოგვაკლდა, ჩვენ წაგვართვა კაცი, რომელიც ერთად-ერთი მთხრობელი იყო, ერთად-ერთი აღმადგინებელი ჩვენის ნამყოსი, ჩვენის დავიწყებულის წარსულისა, ჩვენის ისტორიისა. ვინ იცის, იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ოდესმე სხვაც გამოგვიჩნდეს დ. ბაქრაძეზე უფრო დიდი მოღვაწე, უფრო მეტის შემოქმედი, —მეფობს მეფობი არ დაელევაო, ნათქვამია. ხოლო დღემდე ამაზე მეტი ღვაწლი არავის დაუდვია, ჩვენში ამაზე მეტი არავის არ გაუკეთებია, ამაზედ მეტად არავინ გარჯილა ჩვენის ისტორიის გამოსარკვევად. თითქმის მთელი ორმოცი წელიწადი ამ გზაზე ჰმუშაობდა, დიდ-ძალი ცოდნა შეიძინა, დიდ-ძალი მასალა შეჰკრიბა. 1850 წელს შეასრულა სასულიერო აკადემია და იმ დღიდამ მოულოდნელი სიკვდილის წამამდე მისი სიცოცხლე ერთი განუწყვეტელი სწავლა იყო. იმან კარგად იცოდა, რომ სწავლა კაცს სიკვდილამდე არ მოსჭარბდება, და მართლაც რომ დღე ყოველ სწავლობდა კიდეც და მეცნიერის სახელი მოიპოვა არამც თუ მარტო ჩვენში, სხვაგანაც. დიმიტრი ბაქრაძეს არამც თუ ცალკე მეცნიერნი, არამედ რუსეთის სამეცნიერო აკადემიაც-კი პატივისცემით იხსენიებს.

[illegible] შვილი. მამა მისი ზაქარია ხაშმში (კახეთში, ივრის პირას) მღვდლად იყო წმინდა გიორგის ეკკლესიაში. თუმცა დიმიტრი ხაშმშია დაბადებული, მაგრამ პაპა მისი ოსიაურიდამ (ხაშურს ახლო სოფელია, მტკვრის პირას) ყოფილა გადმოსული. განსვენებულის მამამ მღვდელმა ლეონმა გვიამბო თავისის პაპის ანდრიას გადმოსახლება ხაშმში. ჩვენს ოჯახში ამბად არისო დარჩენილი, რომ პაპა ჩვენი ანდრია პატარობისას ლეკებს მოუტაცნიათ ოსიაურიდამ და ტყვედ წაუყვანიათ. საბრალო დედა მისი, რომელსაც იმის მეტი შვილი არა ჰყოლია, გადასულა ლეკებში დედის-ერთა შვილის ტყვეობიდამ გამოსახსნელად, რასაკვირველია, არა სასყიდლით, რადგანაც ღარიბი ყოფილა, არამედ ხვეწნითა და მუდარებით. ლეკებს შეუბრალებიათ საწყალი დედაკაცი, ვინ იცის საიდამ მოსული და რამოდენა ჭირისა და ვაგლახის მნახველი იმ საშორე გზაზე, და როგორც იყო შვილი დაუნებებიათ დედისათვის. ამბობენ, ვითომც მაშინდელს იმამს ჩაჰკვარდნია შეწუხებული დედა ფეხ-ქვეშ თხოვნითა და ვედრებით და იმას შეუწყალებია და შვილი უჩუქებია.

როცა დედას შვილი წამოუყვანია, გამოუვლია კახეთი, გადმოსულა გომბორს და ჩამოსულა ხაშმში. აქ ხაშმში მაშინ იოანნე ნათლი-მცემელის მონასტერში ბერები ყოფილან და მონასტრის წინამძღვრად ჰყოლიათ არხიმანდრიტი ხარიტონე, რომელმაც იქ ეკკლესია ააშენა ბოლოს. ამ მონასტერში სკოლა ჰქონიათ ბერებს. დიმიტრის პაპის დედისთვის ურჩევიათ თავისი შვილი ანდრია აქ სკოლაში ბერებისათვის მიებარებინა. მიუბარებია და ანდრიას აქ მონასტრის სკოლაში უსწავლია წიგნი, საღმთო წერილი. როცა გამოსულა, ხაშმშივე შეურთავს გლეხ-კაცის ქალი, ზედ სიმედ შესულა, ბოლოს უკურთხებიათ კიდეც მღვდლად, იქ ხაშმში დაბინავებულა და მიუღია ცოლეურის გვარი—თევდორაშვილი. განსვენებულის მამა ზაქარია მღვდელიც ერთ ორ წელიწადს მღვდლად კურთხევის შემდეგ თურმე ამ გვარს აწერ-

და და მხოლოდ მას მერმედ დაუბრუნებია თავის მამა-პაპეულს გვარს—ბაქრაძეს.

განსვენებულის დედა ნინო ყოფილა ხაშმის გლეხ-კაცის ქოქრაშვილის ასული. ქოქრაშვილი კი შეძლებულის ოჯახის შვილი კაცი ყოფილა, ასე რომ ქოქრაშვილის ოჯახი დღესაც გათქმულია ხაშმში. განსვენებულს ჰყოლია ორი და უკვე გარდაცვალებულნი. ერთი ხაშმელ გლეხკაცს შეურთავს და მეორე ტფილისელ მოქალაქეს. სულ ხუთი ვაჟიშვილი ჰყოლია ზაქარია მღვდელს. ამათგან მესამე ჩვენი დაუვიწყარი ისტორიკოსია და დანარჩენი ძმები სულ სასულიერო წოდების კაცნი ყოფილან და ამათ შორის დღეს ცოცხალია მარტო მამა ლეონი, რომელიც ხაშმშივეა მღვდლად განწესებული.

ჩვენ ესე დაწვრილებით აგნუსხეთ ეს ცნობები იმიტომ-რომ შესაძლოა ბიოგრაფმა დიმიტრი ბაქრაძისამ გამოიყენოს აქედამ ზოგი რამ იმის ასახსნელად თუ—რა წრესა და რა წრის ზედმოქმედების ქვეშ იყო პირველი ხანი ჩვენის ისტორიკოსის ყრმობისა. თუნდ ეგეც არ იყოს, არ არის სასურველი, რომ მამა-პაპეული ამბავი ამისთანა ღირსსახსოვარ კაცისა, როგორიც დიმიტრია, დაწვრილებით არ ვიცოდეთ. სხვა არა იყოს-რა, ეს ამბავი იმის მაგალითი მაინც არის, რომ თუ კაცი თითონ ივარგებს რთლა სასახელო სახელსაც იშოვის, სასახელო პატივსაც, რაც გინდ ღარიბი და გამოუჩენელი იყოს ოჯახით, თუ შთამომავლობით. ბევრი დიდი გვარეულობა და დიდი ოჯახი ინატრებს, რომ ამისთანა შვილი გამოუზარდოს.

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა 8 აპრილს 1827 წელს. მისის სამსახურის წიგნი (послужной списокъ) არ ეთანხმება ამ თარიღს, რომელიც მისმა ძმამ მღვდელმა ლეონმა გვაუწყა. სამსახურის წიგნიდგან სჩანს, რომ იგი დაბადებულა 1831 წ. ხოლო ჩვენ გვგონია, რომ პირველი თარიღი უფრო მართალი უნდა იყოს. უეჭველ ეჭვს გარეშეა, რომ განსვენებულმა 1850 წელს გაათავა სასულიერო აკადემია და სამსახურის წიგნს რომ დავუჯეროთ, გამოდის, რომ ცხრამეტის წლისას გაუთავებია აკადემიის კურსი. ეს ძნელად დასაჯერებელია, იმიტომ-რომ ჯერ ათი-თერთმეტი წელიწადი სემინარიაში მოუნდებოდა, ოთხი წელიწადი მაინც აკადემიაში—ეს, სულ ნაკლებ რომ ჩავაგდოთ, თოთხმეტი წელიწადი გამოდის და ნუ თუ ხუთის წლისამ დაიწყო სწავლა? უფრო ჭკუას ახლოა, რომ დიმიტრი ბაქრაძე 1827 წ. დაბადებულა და ამ სახით 63 წლისა შესრულდებოდა ამ წლის აპრილს, რომ ღმერთს წყალობა მოეღო და ეგ ღირსსახსოვარი კაცი შეგვრჩენოდა.

პატარა დიმიტრი მამამ მიაბარა იოანნე ნათლის მცემლის მონასტერში. მაშინ მონასტრის წინამძღვრად ყოფილა თეოდოსე არხიმანდრიტი და იმ მონასტერში იყო ბერად სახელ-განთქმული მგალობელი გევანტი. დიმიტრიმ შინვე იცოდა თურმე წერა-კითხვა ქართული მამისაგან. მონასტერში ისე მალე გაიკვეთა კარგად კითხვა საღმრთო წერილისა, რომ დიმიტრის, რადგანაც პატარა იყო, სკამზე დააყენებდნენ თურმე და ისე აკითხებდნენ გულანს წირვა-ლოცვაზე. ბეჯითობა და გულდადება სწავლისა ჯერ პატარაობაშივე გამოიჩინა და აკვირვებდა თურმე მასწავლებლებს. მამამ იგი ჩააბარა თურმე ბერს გერასიმეს, იმერეთიდამ აქ ბერად შემდგარს. ამ გერასიმე ბერთან ბინა ჰქონდა დიმიტრის, მასთან იდგა, მასთან სვამდა და სჭამდა; იგი უვლიდა და ჰპატრონობდა მობარებულ ყმაწვილს, იგი იყო მისი განსაკუთრებული მეთვალყურე და მზრდელი.

აქედამ ცხრა წლისა მამამ ჩამოიყვანა და მიაბარა სასულიერო სასწავლებელში (духовное училище), სადაც დაჰყო ოთხი წელიწადი. აქედამ სახელმწიფო ხარჯით გადაიყვანეს სემინარიაში და ჩარიცხულ იქმნა სახაზინო მგალობელთა შორის. სემინარიაში ხუთი წელიწადი სწავლობდა და როცა ერთი წელი დაჰყო ეგრედ წოდებულ „ღვთის მეტყველების“ კლასში, აღარ დააცალეს ამ კლასის დამთავრება და გაისტუმრეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც კურსი შეასრულა 1850 წ. და კანდიდატობის ხარისხი მიიღო 1851 წელს.

ჯერ კიდევ აკადემიაში იყო უკანასკნელ კურსზედ, რომ ეგზარხოსმა ისიდორემ შეუთვალა თურმე, დედათა ინსტიტუტის მღვდელი დაეთხოვა სამსახურს და თუ მღვდლობა გსურს, შენ შეგინახავ ვაკანსიასაო. განსვენებულმა არ მოინდომა თურმე მღვდლობა და ცოტა არ იყოს ეგზარხოსს ესა სწყენოდა. 1850 წელს, თუ არა ვცდებით, გადმოვიდა რუსეთიდამ. კიდევ ხელ-მეორედ შეაძლიეს მღვდლობა, მაგრამ არ მოინდომა. ეს უარი კვლავ იწყინეს და პირველ ხანში არსად არა თანამდებობა არ აღირსეს. იმ დროს ნასწავლნი და აკადემიით უყურებდნენ დიმიტრის, მაგრამ უადგილოდ დაგდებაც მისი უსამართლობად მიაჩნდა იყო. ამის გამო ეგზარხოსმა შეაძლია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორობა. იუკადრისა ეს განსვენებულმა და შეუთვალა, რომ მაგისთანა თანამდებობა სემინარიაში კურს-შესრულებულებსაც ეძლევათ და მე მეტის ღირსი ვარ, რადგანაც აკადემიის ხარისხი მაქვსო.

ამის გამო კარგა ხანს უადგილოდ იყო დიმიტრი და რომ გაეზიარდა, სინოდის კანტორაში შევიდა ისე ერთოდ. მაშინ კანტორაში სეკრეტრად ყოფილა მისი ნათესავი გრ. მჭედლოვი, რომელსაც ურჩევია, ეგრე უსაქმოდ ტარებას, ის არა სჯობია მე მომეშველო კანტორაში, თუკემი თუმანს მოგცემო. ამისათვის უარი ველარ ეთქვა და კანტორაში შესულიყო შტატ-გარე სამსახურისათვის. ამასობაში შრომის-მოყვარე დიმიტრიმ რამდენიმე წერილი დაბეჭდინა რუსულად.

ამ წერილებმა მიიზიდა ყურადღება მაშინდელის სწავლა-განათლების მზრუნველის სემენოვისა, რომელმაც დაიბარა და შეაძლია მასწავლებლობა გორის სამაზრო სკოლის ორის უფროსის კლასისა და იმედებიც მისცა, რომ ჩემს უწყებაში შენ მუდამ გზა და პატივი გექმნებაო. დიმიტრიმ მადლობით მიიღო ეს თანამდებობა და განწესდა გორის სამაზრო სასწავლებელში უფროსის კლასების მასწავლებლად. ეს მოხდა 11 აპრილს 1851 წ.

1853 წ. ითხოვა და გამოირიცხა სასულიერო წოდებისაგან და საერო წოდების კაცად გაჰხდა. ამ წლიდამ 1857 წლამდე სწავლა-განათლების სამსახურში იყო, ხოლო 1857 წ. არჩა მისცა და სრულად დაეთხოვა ამ უწყებაში სამსახურს. 1858 წ. დანიშნულ იქმნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან განსაკუთრებულ მოხელედ (чиновникъ особыхъ порученій) უჯამაგიროდ. აქ გენერალ-გუბერნატორის მინდობილობით შეუდგა შედგენას სვანეთის აღწერილობისას სტატისტიკურად, ისტორიულად და არქეოლოგიურად კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის. 1862 წ. ჩაირიცხა კავკასიის მთავარ-მართებლის უმთავრეს გამგეობის უწყებაში.

იმავე წელს დანიშნულ იქმნა თავმჯდომარედ მეხუთე „მეჟევოი კომისიაში“. 1863 წელს იმავე თანამდებობით გადავიდა პირველს „მეჟევოი კომისიაში“. 1864 წ. მთავარ-მართებლის ბრძანებით დანიშნულ იქმნა წევრად „კავკასიაში მართლ-მსაჯულებლობის გამავრცელებელ საზოგადოებისა“.

შრომა გასწია ბატონ-ყმობის გაუქმების საქმეშიაც. ამავე 1864 წ. გაგზავნილ იყო მთავრობისაგან დასასინჯავად სამრევლო სკოლებისა, რომელნიც ხსენებულს საზოგადოებას ექმედებარეობდნენ სამეგრელოსთვის, თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთისთვის მხარეს. 1865 წ. დაიარა და დასინჯა ხსენებულის საზოგადოების სკოლები, ახალციხის მხარეს, სამურზაყანოსა და აფხაზეთში და ხელ-მეორედ დასინჯა სკოლები ჩრდილო და სამხრეთ-ოსეთისა, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთისა. 1868 წ. მისივე თხოვნისამებრ განწესებულ იქმნა სეკრეტრად ტფილისის სამოსამართლო პალატისა და 1872 წ. თავისის სურვილით დაანება ამ სამსახურს თავი. 1873 წ. დანიშნულ იქმნა აღმოსავლეთის ენების ცენზორის თანაშემწედ. და იმავე წელს დიდმა მთავარმა მთავარ-მართებელმა კავკასიისამ მიანდო არქეოლოგიური გამოძიება გურიისა და [illegible] მინდობილობა ხელ ახლად კავკასიის მთავარ-მართებლის უფროს გამგეობის სამსახურში ჩარიცხეს. 1875 წელს დაინიშნა წევრად კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ცნობაში მოეყვანა უოველივე ქონება უფროს გამგეობის ტიპოგრაფიისა. ამავე წელს განწესებულ იქმნა ქართულის ენის ცენზორად. 1879 წ. დანიშნულ იქმნა თავმჯდომარედ იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოერკვია გვარეულობათა და ადგილ-მამულთ კუთვნილება ფშავ-ხევსურეთის მხარეს და ამ თანამდებობის სახელით გაგზავნილ იქმნა ბათუმს დროებით დადგენილ სადგილ მამულო კომისიაში. ამავე წელს იმპერატორის სამეცნიერო აკადემიამ ამოირჩია თავის წევრად-კორრესპონდენტად. 1881 წელს დაუბრუნდა ისევ ფშავ-ხევსურეთის კომისიას. 1883 წ. განწესებულ იქმნა თავმჯდომარედ კომისიისა, რომელსაც ჰქვიან „коммисія для окончанія сословно-поземельнаго вопроса въ частяхъ кавказскаго края военно-народнаго управленія“. 1888 წ. მთავარ-მართებლის ბრძანებით დიმიტრი ზაქარიას ძე გაგზავნილ იქმნა სტამბოლს, რომ გადმოიღოს ჯეროვანად შემოწმებული პირები იმ სიგელ-გუჯრებისა, რომელნიც შეეხებიან ადგილ-მამულების მფლობელობას ბათუმისა და ართვინის მხარისას და რომელნიც სტამბოლის დიდ არხივშია. ეს მინდობილობა შეასრულა იმავე წელს.

ამ გრძლად ჩამოთვლილ სამსახურის და მოღვაწეობის სიიდამ სჩანს რა მრავალ გვარ საქმეებს გაუვლია განსვენებულის ხელში, რა სხვა-და-სხვა ნაირი საფერა ჰქონია სამსახურისა, რა ფართო ასპარეზზე უმოქმედნია და რამდენი რამ უნახავს, რამდენი რამ გაუგონია, რამდენი რამ შეუნიშნავს და უთვალ-თვალებია.

მარტო ეს სიაა საკმაო, რომ კაცმა განცვიფრებით იკითხოს: სადღა იცლიდა, როგორღა ჰპოულობდა დროს, რომ იმისთანა ძნელ გამოსაძიებელ საქმესაც იძიებდა, როგორიც ჩვენი გამოურკვეველი ისტორიაა. სადა ჰქონდა იმოდენა დრო, რომ წელიწადი ისე არ გავიდოდა, ან რუსულად, ან ქართულად წიგნი, ბროშიურა, წერილი რამ არ დაებეჭდა ან ჟურნალ-გაზეთში სადმე, ან ცალკე. მერე იმისთანა საფერაში ჰმუშაობდა ეს დაუცხრომელი მუშაკი, რომ თითოეულს ამბავს, დიდსა, თუ პატარას, მისგან წერილითა და ბეჭდვით ნაუწყებს, ხანგრძლივი, გულ-მოდგინე და დაკვირვებით მოჩხრეკა უნდოდა არა ერთსა და ორ ფოლიანტში, არა ერთსა და ორს მველსა, თუ ახალს წიგნში.

ჩვენ ზემოდ აღვწერეთ რა მრავალ გვარი სამსახური გაუწია მთავრობას განსვენებულმა. მთავრობამაც იგი, უბრალო სოფლის მღვდლის შვილი, უმწეო და უპატრონო კაცი, ღირსეულ კაცად იცნა და მოხელეობის უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა მარტო იმის გამო, რომ ყველგან და ყოველთვის პატიოსანი, დაუცხრომელი და თავ-გამოდებული მოღვაწე იყო. მეცნიერებამაც შესაფერი პატივი არ დააკლო: სადაც ერთი-ორი მეცნიერი იხსენებს დღეს, ჩვენს განსვენებულს დიმიტრისაც ახსენებენ. არც საქართველო დაივიწყებს იმ კაცს, რომელმაც თვით არ დაივიწყა საქართველო და თავისი მალ ღონე, სწავლა, ცოდნა, შრომა, გარჯა არ დაუზოგა და ვით ერთგულმა შვილმა თავისი წილი სამსახური გაუწია თავის მშობელს ქვეყანას. კურთხეულ იყოს ხსენება შენი! მშვიდობით, ჩვენო წუნარო, ჩვენო უწყინარო, ჩვენო თავ-მდაბალო მოღვაწევ! შენი ცუდი [illegible]ქმარნია, შენი კარგი-კი ყველას თვალ-წინ უდგა, იმიტომ-რომ შენ კარგის მეტი არა მიგიძღვის-რა წინ და არა გრჩება-რა უკან. მშვიდობით!..

◆◆

## სამძიმრის დეპეშები

დ. ზ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო.

მრავალი დეპეშა მოგვდის ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდამ და აგრეთვე რუსეთიდამაც და გვთხოვენ, გულითადი მწუხარება განუცხადეთ განსვენებულის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სახლობას იმ უბედურების გამო, რომელიც ასე მოულოდნელად ეწვია მასთან ერთად მთელს საქართველოსაო. გვწერენ აგრეთვე, შეამკეთ გვირგვინით მისი კუბო და საფლავიო. ვებეჭდავთ, რასაც ვასწრობთ ამ ხანად.

სოხუმის საზოგადოება გვთხოვს, წააწერეთ გვირგვინს: ღირსეულს შვილს მამულისას, უდროვოდ ჩამქრალს ლამპარს ივერიისას. სოხუმელთაგან.

გიორგი წერეთელი გვწერს ქუთაისიდამ: მოულოდნელმა ამბავმა დაუვიწყარის დიმიტრის სიკვდილისამ გული დასწყვიტა ყველას, ვი' თვისაცკი ძვირფასია ბედი სამშობლო ისტორიისა. გთხოვთ სამძიმარი განუცხადოთ მის სახლობას დიმიტრის ხსენების პატივის-მცემელთაგან.

ქუთაისიდამვე გვწერენ: განუცხადეთ ღრმა მწუხარება განსვენებულის სახლობას თავად-აზნაურთა ბანკში მოსამსახურეთაგან დიდის დასაკლისის გამო.

მოსკოვიდამ გვწერს ბ-ნი ტყეშელაშვილი: განუცხადეთ მწუხარება განსვენებულის სახლობას დიმიტრის დაკარგვის გამო. ქართველებმა დავკარგეთ სახელოვანი მოღვაწე სამშობლოს ისტორიისაო.

მოსკოვიდამვე გვწერს ბ-ნი ხახანაშვილი: განუცხადეთ განსვენებულის სახლობას სამძიმარი ჩვენის წარსულის ძვირფასის მკვლევარის გარდაცვალების გამო. შეამკეთ კუბო მისი გვირგვინით და ზედ წააწერეთ: „პირველს ისტორიკოსს საქართველოსას“.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი ყიფიანი გვწერს ამ სკოლაში მოსამსახურეთა სახელით: ვგლოვობთ ძვირფასს დასაკლისს ჩვენის ღვაწლის საისტორიო მეცნიერებისას, რომელსაც აღარა ჰყავს დაუვიწყარი დიმიტრი ზაქარიას ძე, კაცი მართალი, დაუღალავი მუშაკი და თავ-განწირული მკვლევარი ჭეშმარიტებისა. გარდაეცით ჩვენ მაგიერ დიდი მწუხარება განსვენებულის სახლობას.

ბათუმიდამ გვწერს ბ-ნი ვოლსკი: განუცხადეთ ღრმა მწუხარება განსვენებულის სახლობას ბათუმის ქართველთა საზოგადოების სახელით და გვირგვინით შეამკეთ კუბო დაუვიწყარის ისტორიკოსისა.

ოდესა: წინანდელი და ეხლანდელი სტუდენტები ოდესის უნივერსიტეტისა ღრმად ვმწუხარეობთ ჩვენის წარსულის დაუღალავის მკვლევარის დიმიტრის გარდაცვალების გამო. განუცხადეთ მწუხარება ჩვენი მის სახლობას. მცირე ნუგეშად ის მაინც მიიჩნიოს, რომ მწუხარება მათი საერთო მწუხარებაა ყველა ქართველისა, რომელსაც-კი უყვარს თავისი სამშობლო და რომელთა შორის სახელი დიმიტრი ბაქრაძისა არასოდეს არ გაჰქრება.

მოგვივიდა კიდევ დეპეშები სამძიმრისა კავკავიდამ, ოდესიდამ, ახალციხიდამ, მოსკოვის ქართველ სტუდენტებისაგან, გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან, თელავის სასწავლებელთაგან, ყარსის ქართველობისაგან და სხვ. და სხვ.

◆◆

## დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა.

წუთი სოფელმა ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი კვლავ გამოაკლო ჩვენ მცირე წრეს. განსვენებულს თავის სიცოცხლეში მუდამ თვალ-წინ ედგა ერის ბრძნული თქმულება: „არც კაცი ვარგა, იყვეს სოფელში და სოფელს-კი არა რა არგოს“. ამ თქმულობის მიხედვით განსვენებულმა მთელი თვისი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურსა და სარგებლობას მოანდომა. განსვენებულ დიმიტრიმ თვის სამოღვაწეოდ მეტად ძნელი სარბიელი ამოირჩია. ეს სარბიელი იყო შესწავლა საქართველოს წარსულისა, რომელიც მის დრომდის ჯერ უკუმათის ბინდით იყო მოცული. მაშინ არა თუ უცხო ქვეყნელები, არამედ, ხშირად, ჩვენი თანამემამულენიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ჩვენს წარსულს, ქართველთა მიერ გამოვლილ ორი ათას-სამი ათას წლის გზა-კვალს. მაგრამ ბაქრაძე მრავალ გვარ დაბრკოლებას არ შეუშინდა. ყურადღებაც არ ათხოვა იმ გარემოებას, რომ ჩვენში როგორღაც ისტორიას ვერ ეწყობოდნენ, რომ ისტორიულ წიგნების მკითხველსა და მწერალს, ხშირად, დასცინოდნენ; და ძველის ძველი ნაშთების მთხრელ-ჩხრეკელს უკიჟინებდნენ და საფლავის მთხრელებს უწოდებდნენ. მაგრამ განსვენებულმა, ვიმეორებთ, ასეთი კიჟინი არაფრათ მიიჩნია. ყურადღებაც-კი არ მიაქცია უმრავლესობის ხმასა და ღლაღს. იგი დარწმუნებული იყო, რომ აწ დაწუნებულნი საფლავნი და სხვა-და-სხვა ნაშთნი უტყუარნი მთხრობელნი არიან წარსულისა. ხოლო ახლა საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მათი შესწავლა, მათი აღწერა, რომ იგინი საინტერესონი შექმნილიყვნენ თვით ერისათვისაც. განსვენებულს მტკიცედ სწამდა, რომ ჩვენს წარსულში იყო ჩადგმული ის მკვიდრი დედა-ბოძი, რომელზედაც უნდა აგებულიყო მომავალის შენობა. ამ დედა აზრით გამსჭვალული მოღვაწე მუყაითად შეუდგა საქართველოს წარსულის დასურათიანება - დახატვას. ამ ძნელს საქმეს მან შესწირა მთელი თვისი ძალ-ღონე; იგი ჭაბუკობიდგან მოკიდებული სიკვდილამდე ეტრფიალებოდა ერთხელვე თვის მიერ დაქდეულ ნიშანს და გზას არ უხვევდა მას.

წარსულის სრული სურათის აღსადგენად იმან საჭიროდ დაინახა შესწავლა მიწაში დამარხულ ნაშთებისა, მიწის პირზე დაშთენილ ძეგლებისა, აგრეთვე გარკვევა - გაჩხრეკა ძველის-ძველ ხელ-ნაწერებისა, ქართლის-ცხოვრების ვარიანტებისა, სიგელ-გუჯრების შესწავლა და სხვა და-სხვა.

ერის ცხოვრება მეტად რთული საგანია, მეტადრე იმისთანა დღეგრძელი ხალხისა, როგორიც ქართველი ერია. ყოველი ერის ცხოვრებაში აწმყო არის ნამყო წარსულისა და აწმყოსაგან იბადება მომავალი. მაშასადამე, თუ გვსურს შევიგნოთ აწმყო და გამოვიცნოთ მომავალი, აუცილებლად საჭიროა შევისწავლოთ წარსული. ხოლო წარსულის შესწავლა ადვილია, თუ, რასაკვირველია, დაშთენილია დაწერილი ისტორიული თხზულებები. ქართველები ამ გვარ წიგნების სიმრავლით თავს ვერ მოვიწონებთ. ამ წიგნთაგან ჩვენ გვქონდა ერთად-ერთი ნაშთი—ქართლის ცხოვრება. ხოლო ქართლის-ცხოვრებაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს სურვილს. იგი გაკვრით გვიამბობს ჩვენს წარსულს და ბევრს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას არც-კი აღნიშნავს. ამ გვარ ყოფაში ხალხის წარსულის სურათის აღდგენა ფრიად ძნელია. ბაქრაძემ იცოდა ეს სიძნელე, მაგრამ საქმის სიძნელემ მას წარბი ვერ შეახრევინა. რასაც ქართლის ცხოვრებაში ვერ ჰპოებდა, მას იგი ეძიებდა ძველ ხელ-ნაწერებში, ტაძრების წარწერებში, სიგელ-გუჯრებსა, აკლდამებსა და ხალხის ყოფა-ცხოვრებში. ამ აზრით განსვენებულმა მიმოიმგზავრა მთელი საქართველო, ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა დაათვალიერა და შეისწავლა. მისი მოგზაურობა საქართველოში ნამდვილი მზის ამოსვლის დრო იყო ძველის ნაშთებისათვის. დაობლებულნი და თავ-პირ ჩამომტირალნი ძეგლნი, მდებარენი გადაყრუებულს, უჟამურსა და უკაცურს ტყე-ღრეში, ხევ-ხუვსა და მთა-გორაკთა ზურგზე ხელ-ახლად ალაპარაკდნენ. სადაც განსვენებულმა ფეხი შესდგა, რასაც თვალი მოჰკრა, ყველამ და ყოველივემ გაიღვიძა, ენა აიდგა და ძეთა ივერთა მოუთხრო წარსულთა დროთა ამბავნი, ამბავნი შესახებ იმისა, თუ რამდენი ოხრა, რამდენი ცრემლი, რამდენი ვაი-ვაგლახი დაეთმინათ ქართველების წინაპრებს, ამბავნი დამწყსელობითნი და საგულის-ხმიერონი. მაგრამ განსვენებული ამასაც არა სჯერდება. მისი გამოცდილი და შორს-მხედველი თვალი იხედება დამტვერიანებულსა და დაობებულ წიგნთ-საცავებში და მათში საოცარის სისწრაფით ჰპოებს შესანიშნავ და სულისა და გონების საგრძნობელ ავ-კარგიანობას. საყდრისა, კედლებისა და საფლავების ქვების წარწერების შემწეობით იგი მკვიდრეთით აღადგენს მთელს კაბადონებს ჩვენის ისტორიისას, გვიხატავს მთელს სურათს რომელისამე [illegible]. ხოლო ტაძრის აგებულებისა, იმათი ჩუქურთმა-ქანდაკების შემწეობით წარმოგვიდგენს ქართველთ ძველი დროის ხუროთ-მოძღვრო აღნაქსსა, ანუ თვისებას. ტაძრებისა, სამკაულისა, ჭურჭლისა და ხელთ-ნაწერების სურათების ფერადებისა და სახეების გარკვევით გვამცნებს ძველს ჩვენს ხელოვნებას. აწინდელ ზნე-ჩვეულებისა, ენისა და გეოგრაფიულ სახელების შესწავლა - შედარებით განსვენებული შუქს ჰფენს ქართლოსიანთა ძველი დროის ზნე ჩვეულებასა და ყოფა-მდგომარეობას. ამ გვარად მოპოებულ ცნობებს განსვენებული აწვდის ერს წვრილ-წვრილად, რათა ისწავლონ საქმენი მშობელთა და დაიუბრონ ძეგლნი წარსულისა. განსვენებულის სურვილი უქმად არა რჩება. დღეს უკვე მცირესაც ესმის ღირსება თვით ხელის-გულის ტოლა ფარატინაზედ დაწერილ ძველ ხელთ-ნაწერისა. ბაქრაძეს მეოხებით დღეს ამ ხელ-ნაწერებისა და ჭურჭელ-სამკაულისათვის არის დადგმული მკვიდრი საგანძ-საეკკლესიო ნივთთა მუზეუმი ტფილისის სიონის კარი-ბჭეში. განსვენებულისავე შთაგონებითა და ქადაგებით ძველი ძეგლების წინამძღვარნი და მაშენებელნი დღეს აღარ სცვლიან ძველს აღნაქსს, ძველს ჩუქურთმას არ აოხრებენ და ძველს მხატვრობას აღარ ათეთრებენ თეთრი კირითა და გაჯით. განსვენებულის შარშანდელ მოგზაურობამ საქართველოში ხომ შარავანდედით შემოსა მისი არქეოლოგიური ღვაწლი. ჩვენს მონასტრებში აღმოჩნდა ისეთი შესანიშნავი საისტორიო ნივთები, რომ თვით განსვენებული გაკვირებული იყო და ამბობდა: მართალია, აქამდისაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს მონასტრებში უნდა ყოფილიყო ბევრი ძვირფასი საუნჯე, მაგრამ მისთანას, როგორიც წლეულს აღმოჩნდა, არ მოველოდიო. განსვენებული ამ ღირსსახსოვარ სიტყვებს ამბობდა იმ ნივთების შესახებ, რომელთა დაკვირვება-შესწავლის შემდეგ პროფესორ კანდაკოვმა უკვე საქვეყნოდ აღიარა საქართველოს წარსული დროის საოცარი ხელოვნება, ქართველების გულმოდგინე და მუყაითი შრომა—მოღვაწეობა.

განსვენებულმა უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი ანბანებიც. შეისწავლა იგინი, აღადგინა მათი მიყვანილობა, წარმატება და განვითარება; განსაზღვრა ყოველი საუკუნისა და ეპოქის ხელი და ამ გვარად დაადგინა და შექმნა ახალი დარგი ქართულის მეცნიერებისა, ე. ი. ქართული პალეოგრაფია. განსვენებული ისე იყო დახელოვნებული ქართულს პალეოგრაფიაში, რომ ერთის თვალ-გადავლებით ზედ-მიწევნით სცნობდა ხელ-ნაწერის შედგენის საუკუნესა, არჩევდა ყოველი მონასტრის ხელსა.

ასეთია განსვენებულის არქეოლოგიურ და პალეოგრაფიულ შრომისა და ძიების მიმართულება.

ამ გვარივე თვისება აქვს იმის წმინდა ისტორიულ მოღვაწეობასაც. საქართველოს ისტორიის შესწავლას მან მკვიდრი საფუძველი დასდო. იგი თუმცა სამსახურის კაცი იყო და ლუკმა პურის საშოვრად ბევრს დროს სახელმწიფო თანამდებობის აღსრულებას ანდომებდა, მაგრამ მაინც მთელს თავის თავისუფალ დროს წარსულის ძიებას ახმარებდა. ამ საქმეში განსვენებული ისეთ ხალისს, ერთგულებასა და სიყვარულს იჩენდა, რომ ხშირად მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, რათა ნიშანში ამოღებული საგანი, მის სისრულისათვის, ბოლომდე მიეყვანა. ამ გვარი შრომის დროს ხშირად შევსწრებივარ განსვენებულს და როცა მიკითხავს: „ბატონო დიმიტრი, ამდენი შრომა რიგორ არ გღალავთ?“,—უპასუხნია: «რა ვქნა. წარსული კაცს ისე აყვარებს თავს, ისტორიაში იმდენი კეთილშობილი, მამულისა და ქვეყნის ერთგულებაში გაბრძმედებულნი პირნი არიან, ისეთი მტკიცე ხასიათისანი, თავ-მდაბალნი, უშურველნი და უმწიკვლონი, რომ მათთვის თვალი ვერ მომიშორებია; მათთან ყოფნა, მათთან საუბარი და მათთან გულის ძგერა მავიწყებს ჩემის ხორცის დაქანცვა-ტკივილსა; მცირე დროს განმავალობაში მაინც მაშორებს დღევანდელ ორპირობითა და ცბიერებით აღსავსე აწმყოს. წარსულის შესწავლა თვალწინ გვიყენებს იმ ხორცით დამიწებულ, მაგრამ სულით აღფრთოვანებულ გმირებს, რომელთაც ხალხის ბედ-უბედობა თვისის მხარ-ბეჭით უტარებიათ. ამ გვარი გმირების რიცხვი ხომ ჩვენს ისტორიაში, მადლობა ღმერთს, ცოტა არ არის. მათთან საუბარი კაცს უნებლიედ აყვარებს საქართველოს ისტორიასო» და სხ.

დიახ, ასეთი შეხედულობა ჰქონდა განსვენებულს საქართველოს წარსულზე. მხოლოდ ამისთანა მტკიცე და შეურყეველმა რწმენამ შეაძლებინა მას დაეძლია მძიმე ტვირთი. უწინარეს ყოვლისა იგი შეუდგა ისტორიულ წყაროების გარკვევას. მეცნიერებაში გავრცელებული იყო აზრი, რომ უპირველესი წყარო საქართველოს ისტორიისათვის ქართლის-ცხოვრება ვახტანგ მეფეს შეთხზული არისო. ბაქრაძეს ჩხრეკა-ძიებამ აღმოაჩინა ვახტანგის წინა დროის ქართლის ცხოვრების ვარიანტები და ამ სახით ამ წყაროს აღუდგინა თვისი ჭეშმარიტი ღირსება. გაჩხრიკა ძველი ხელ-ნაწერები და მათში იპოვნა მეათე საუკუნეში დაწერილი საქართველოს ისტორია. ამ გვარივე ისტორიული ცნობები აღმოაჩნდა მესხურს დავითნშიაც. განსვენებულმა საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს დამოკიდებულება ბიზანტიასა, სომხეთსა და სხვა ხალხებთან. შეისწავლა საქართველოს ნუმიზმატიურნი საბუთნი, სამართალი და ყველა ეს მასალა რომ შეაგროვა და შეისწავლა, მხოლოდ მაშინ შეუდგა საქართველოს სრულის ისტორიის შედგენას. ამ ისტორიის პირველი ტომი ხომ უკვე დაიბეჭდა. სამწუხაროდ ჩვენდა, განსვენებულს აღარ დასცალდა, რომ დანარჩენი ორი ტომიც გამოეცა. მარადის იმისთვის სწუხდა განსვენებული და იმას ნატრობდა, რომ ღმერთმა დააცალოს, ვიდრე იგი დაბეჭდავდეს ჩვენი ისტორიის დანარჩენ ტომებსაც. „საქართველოს ისტორიის ორი ტომი და ვახუშტის გეოგრაფია ჩემის დამატებითა და შენიშვნებით რომ გამოვცე, სხვა აღარა მინდა რაო, იტყოდა ხოლმე განსვენებული. თითქო წინადვე ჰქონდა შეტყობილი თავის აღსასრულის ჟამის მოახლოება! ამას გარდა განსვენებულმა ძვირფასი ისტორიული ცნობები ჩაურთო თვისის რედაქციით გამოცემულ ვახუშტის ისტორიასა და ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ განსვენებულის ორი შესანიშნავი შრომა. მათგან ერთში ნეტარ-ხსენებულმა აღწერა საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის 321 ტაძარი. ამ შრომისათვის სამეცნიერო აკადემიამ პატივ-სცა და ოქროს მენდალი გამოუგზავნა. ამ თხზულების შედგენის წინად განსვენებული, იმავე სამეცნიერო აკადემიის მინდობილობით გაემგზავრა გურია-აჭარაში 1873 წ. ეს ქვეყანა მაშინ ოსმალებს ეკუთვნოდა და ქრისტიან ქართველს იქ არ შეესვლებოდა. განსვენებული შიშს არ მოერიდა, მოიარა მთელი ქვეყანა და აღწერა იგი ისტორიულ - არქეოლოგიურ გეოგრაფიულად და ეს აღწერილობა სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა. ეს შესანიშნავი თხზულება მოწონებულ და აკადემიის ხარჯზე დაბეჭდილ იქმნა.

განსვენებულს კიდევ დარჩა ბევრი დაუსტამბავი ნაწერი და, მათ შორის შარშანდელი მისი მოგზაურობისა და შარშანდელის ამბები და შენიშვნები. ეს უკანასკნელი შრომა განსვენებულმა მხოლოდ ამ დღეებში დაამთავრა და წარგზავნა პეტერბურგს დასაბეჭდად. მაგრამ, ვაჰ ჩვენდა, დაბეჭდილ ნაწერს ვეღარ წაიკითხავს მისი ავტორი! განსვენებულის მრავალ ხელნაწერში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, შეგროვილია ძვირფასი ცნობები: არქეოლოგიური, ისტორიული, ლინგვისტიური, პალეოგრაფიული და გეოგრაფიული.

ამ სახით ჩვენ მოვაღწიეთ ბაქრაძის უკანასკნელ წუთამდის. რა იყო წინად და რაა ეხლა? წინად რაც იყო, ზემოდ ვსთქვით, ხოლო რა არის ეხლა, ყველას თვალ - წინა გვაქვს. პალეოგრაფია ახლად შექმნილია, არქეოლოგიურნი ნაშთნი, შეძლებისა დაგვარად, გამოკვლეულია. ქართული ხელოვნებისა და ხუროთ-მოძღვრების ვითარება შეტყობილი გვაქვს. ქართული წყაროების სახელი აღდგენილია. საქართველოს ნანგრევნი და ნაშთნი ვიცით და ვუწყით. საქართველოს სამართალი ახსნილია. ყოველივე ამას მეცნიერების ნათელი ვინ მოჰფინა? ნეტარ-ხსენებულმა ჩვენმა დიმიტრიმ. მაგრამ დღეს რომ დიმიტრი ბაქრაძე აღარ არის? ვცდებით. იგი, მართალია, ხორცით მოგვშორდა, მაგრამ სულით მუდამ ჩვენთან იქნება და არის. იგი იყო პირველი მეცნიერი სამშობლო ისტორიისა.

მოსე ჯანაშვილი

# დეპეშა

8 თებერვალი

პეტერბურგი. „Новости“ იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრს წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი საკომისიონერო - სავაჭრო საზოგადოებისა, რომელსაც თანხად 5 მილიონი მანეთი უნდა ჰქონდეს და რომელმაც ყველა უმთავრესსა და საგუბერნიო ქალაქში განსაკუთრებული სავაჭრო განყოფილება უნდა გამართოს და გაავრცელოს ნაკეთები რუსეთის სამანუფაქტურო მრეწველობისა, ამ ჟამად მეტად დაქვეითებული პროვინციის ვაჭრების პირ-ნათლად ვალის გადაუხდელობისა გამო.

პეშტი. მთავრობამ რუსის მგალობელთა დასს სლავიანსკისას აღუკრძალა სამხრეთ ვენგრიის სერბიელთა ქალაქებში კონცერტების მართვა.

ვენა. ავსტრიის სახელმწიფო რკინის გზათა ფრანგი დირექტორები თავისს თანამდებობას თავს ანებებენ.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 6 დგან 5%-მდე.

9 თებერვალი

პეტერბურგი. „Прав Вѣстникъ“-ი იუწყება, რომ ამ ჟამად ხოლერა თავრიზისა და ჰამადანის მხრივ რუსეთიდგან სულ რამდენსამე ას ვერსზეა გავრცელებული და ისე საშინლად აღარა მძვინვარებს, როგორც უწინ იყო. ექიმი გაგზავნილია ამ სენის თვალ-ყურის სადევნელად და ამას გარდა განკარგულებაა მოხდენილი, რომ ამიერ-კავკასიის დასახლებული ადგილები დაიცვან ხოლერისაგან. რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანებს აღარ ეძლევათ პასპორტი სპარსეთსა და ოსმალეთში წასასვლელად.

კიევის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე დაინიშნა ორენბურგის სამასწავლებლო ოლქის უფროსად.

„Нов. Время“-ს გაუგონია, რომ მერვის ოაზისის საკოლონიზაციოდ პროექტია შემუშავებული და ამ პროექტით საუკეთესო მიწები გადასინჯულ რუსებს უნდა მიეცეთ, ხოლო დანარჩენი—იქაურ მცხოვრებთაო.

ბერლინი. აქაურ საპარლამენტო არჩევნების დროს ორს ოლქში არჩეულ იქმნენ სოციალისტები ზინგერი და ლიბკნეხტი, სამს ოლქში-კი ხელ-ახლად უნდა მოხდეს არჩევანი პროგრესისტებსა და სოციალისტებს შორის, ერთში პროგრესისტსა და კონსერვატორს შორის. გუშინდელს არჩევნების უფრო ის ამჩნევდა, რომ ახალს რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატთა რიცხვი მეტად დიდი იქნება, უმეტესობა-კი მაინც კონსერვატორ-ულტრამონტანთაგან შესდგება. დიდად გააკვირვა აქაურები იმ ამბავმა, რომ ნაშუადღევის პირველს საათზედ იმპერატორმა განგაშით ბერლინის [illegible] მეციხოვნე ჯარი გამოიწვია ტემპელგოფის მოედანზედ და საღამოს ხუთ საათზედ ჯარის წინამძღოლობით დაბრუნდა სასახლეშივე.

ამსტერდამი. გუშინ დაიწვა საქალაქო თეატრი.

სოფია. დარწმუნებით ამბობენ, რომ ბოლგარია გადაუხდის რუსეთს საოკუპაციო ხარჯის ფულსაო.

სოფია. რუსეთის მთავრობამ ბოლგარიის მთავრობას ოთხის წლის განმავლობაში ოკუპაციისთვის დასარჯული ფული მოსთხოვა.

10 თებერვალი

პეტერბურგი. სტავროპოლის სასულიერო სემინარიის რექტორი, არხიმანდრიტი ნიკოლოზი, დაინიშნა ნოვომირგოროდის ეპისკოპოსად, ხერსონის ეპარქიის ვიკარიად.

დღეს აკურთხეს განახლებული ეკლესია უმთავრესის შტაბისა და ამასთანავე კურთხეულ იქმნა ხატები 1888 წლის 17 ოქტომბერს მათის იმპერატორებითის სახლობის სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად. კურთხევის შემდეგ პარაკლისი გადაიხადეს და ამ პარაკლისზედ დაესწრო მემკვიდრე ცესარევიჩი და დი-

დნი მთავარნი გიორგი ალექსანდრეს ძე და ვლადიმერ ალექსანდრეს ძე

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა თავისი დისკონტი დასწია ვექსილებისათვის 4%-მდე და სავირავნო სახელმწიფო ქაღალდებისა და საქონლისათვის წლიურად 4½ და 5%-მდე.

11 თებერვალი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს: რუსეთმა ბოლგარიას მოსთხოვა ჯერ კიდევ გადაუხდელი ფული, რომელიც ოკუპაციისა ერგებოდა. სოფიაში ამ ფულის მოთხოვნის გამო იმ აზრისანი არიან, რომ ამით ოდნავ მაინც რუსეთი პრინც ფერდინანდის ბოლგარიის მთავრად ყოფნას აკანონიერებს და ამას გარდა განზრახვა აქვს ბოლგარიის მმართველებს გაჭირება მიაყენოსო. ეს ორივ აზრი უსაფუძვლოა, რადგან ავსტრიამაც-კი, როცა სესხის აღების დროს ბოლგარიას მფარველობა გაუწია, გამოაცხადა, რომ ამ საქციელით პრინცის კანონიერების აღნიშვნის მსურველნი არა ვართო. პრინცის რუსეთის მიერ კანონიერ მთავრად ცნობა მით უფრო დასაჯერებელი არ არის ეხლა, რადგან რუსეთი იმ ვალსა სთხოვს, რომელიც ბოლგარიის მთელს ერს ადევს. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ რუსეთს ვალის მოთხოვნით განზრახვა აქვს საქმე გაუძნელოს და გაუჭიროს ბოლგარიის მმართველთაო, გაძნელება საქმისა მხოლოდ მაშინ იქნება მოსალოდნელი, თუ ტყუილი გამოდგა ბოლგარიის მმართველთა მიერ ნათქვამი, რომ რუსეთის გადასახდელი ფული მზადა გვაქვსო.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ გენერალ კომაროვის მაგიერ ამიერ-კასპიის მხრის უფროსად დანიშნულ იქმნა გენერალი კუროპატკინიო; ხმა დადის, რომ იქვე გაიგზავნება კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს პოლკოვნიკი ბარანკაო.

პარიჟი. დღეს პალატაში სოციალისტმა ბადენმა განაცხადა, რომ საორშაბათოდ დაინიშნოს ვადა იმ პროექტის განხილვისა, რომელიც მუშაობის აკრძალვის გამო ბრალდებულთა პატიებას შეეხებაო. ეს წინადადება პალატამ 221 ხმის უმეტესობით დაამტკიცა წინააღმდეგ 182-სა. ბადენის ნათქვამი, როგორც სჩანს, იმან გამოიწვია, რომ პარლამენტის წრეებში გაისმა ხმა, ვითომ ჰერცოგს ორლეანსკს დანაშაული უნდა ეპატიოსო. მომუშავეებმა გადასწყვიტეს, რომ მუშაობის ამკვეთთა პატიებაც მოვითხოვოთ, თუ ვინიცობაა ჰერცოგს აპატიეს დანაშაულიო.

12 თებერვალი

ბერლინი. „Berliner Politische Nachrichten“-ი იუწყება: ეჭვიანობას იმის შესახებ, რომ ამ მოკლე ხანში კონფერენცია იქნება მოწოდებული ბერლინში მუშათა საქმის გამო, როგორც სჩანს, საბუთი არა აქვს. ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია და სკანდინავიის სახელმწიფონი მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციაში; მონაწილეობას არ მიიღებენ მხოლოდ შეერთებული შტატები და რუსეთი, რადგან ამ ქვეყნებს გააჩნიათ გასასყიდად საზღვარ-გარედ ისეთი საქონელი, რომელსაც სამრეწველო ნაწარმოების თვისება არა აქვს და უფრო სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს ეკუთვნის.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი

| | მყიდველნი ხა. | იყიდებოდა | გაყიდულა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნახევარ-იმპერიალი ოქრო . | — „ | „ | 7 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 240 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 229 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | 218¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

САКАЛЕНДАРО ЦНОБАНИ

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

13 დღე სამშაბათი. ქართველი ღირსისა მამისა ჩვენისა მარტიანესი. კათოლ. წმ. რაიმუნდა და ეკატერინესი. სომეხ. 2 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 6—41, ჩადის 5—46. ჭეშმარიტი შუადღე 12—13 მთვარე 5 დღისაა,

14 დღე ოთხშაბათი. ქართველი ღირსისა მამისა ავქსენტისა. კათოლ. წმ. ვალენტინა და ვიტალისა, დიდი მარხვისა დაწყება. სომეხ. მირქმა ქრისტესი ტაარნინ დარაჯი, 3 დღე დიდ მარხვისა. მზე ამოდის 6—40, ჩადის 5—47, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. მთვარე 6 დღისაა.

15 დღე ხუთშაბათი. ქართველი წმინდისა მოციქულისა ონისიმესი. კათოლ. წმ. ფაუსტინა იოვიტისა, ვალდემარისა. სომეხ. 4 დღე დიდ მარხვისა. მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—48. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13, მთვარე 7 დღისაა.

16 დღე პარასკევი. ქართველი წმ. მოწამისა პამფილესი და სხვათა. კათოლ. წმ. იულიანი და ლეოკადისა. სომეხ. 5 დღე დიდ-მარხვისა. უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე 1801 წ. მზე ამოდის 6—37, ჩადის 5—49. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. მთვარე 8 დღისაა.

17 დღე შაბათი, ქართველი წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. კათოლ. წმ. დონატისა და თეოდულასი. სომეხ. 9 დღე დიდმარხვისა.—წმ. თეოდორესი მხედრობისა. მზე ამოდის 6—35. ჩადის 5—50, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 9 დღისაა.

18 დღე კვირა. ქართველი წმიდათა შორის მამისა ლეონ, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. სიმეონისა, მაქსიმესი და კონსტანციისა. სომეხ. წმ. კონსტანტინეპოლში მომწყვდართა, 7 დღე დიდმარხვისა. საქართველოში შემოიღეს ახალი წესდებულება სასამართლოსი 1868.; გაიხსნა ამავე წელს თბილისში საქალაქო სააკათმყოფო. მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართველი წმიდისა მოციქულისა არხიპისა. კათოლ. წმ. კონრადისა გობინისა და გოდფრიდასი. სომეხ. 8 დღე დიდმარხვისა. გრ. ზუბოვი დანიშნეს მხედრობის მთავარ სარდლად აღა-მაჰმადხნის წინააღმდეგ 1796 წ. ბატონ ყმობის განთავისუფლება აფხაზეთში 1871 წ. მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 11 დღისაა.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომკაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

„უბის წიგნი 1890 წლისათვის“

შედგენილი და გამოცემული

ვალ. გუნიას მიერ

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

# გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

# წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიაი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა . . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |

САПОЛИТИКО ДА САЛИТЕРАТУРО ГАЗЕТИ

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია'ს ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვისა და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

# საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართლის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ. გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, სამკურ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქამო, სათეჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებაალებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქლის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეგ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა კსოძისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.


Доз. ценз. Тифлисъ 9-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баронской и Лорисъ Меликъ д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე